ხელშეკრულება№ 19

ქ.რუსთავი 17 იანვარი 2013 წელი

ა.ა.ი.პ. „ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება" (შემდგომში „დამკვეთი"), მისი დირექტორის ია ქელბაქიანის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს. „ჯეობიტი" (შემდგომში „შემსრულებელი"), მისი დირექტორის ზაზა მაღლაკელიძის სახით, მეორეს მხრივ შევთანხმდით ურთიერთშორის და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დამკვეთი" ავალებს, ხოლო „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები.
1.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსრულებლის" საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება.

2. მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია „დამკვეთის" დავალების შესაბამისად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
2.2. „მომსახურების" სახეობები მოცემულია „შემსრულებლის" მიერ წინასწარ წარმოდგენილ მომსახურების ნიხში (დანართი 1).
2.3. „შემსრულებელი" ვალდებულია სამუშაო შეასრულოს საკუთარი მასალებით.
2.4. „შემსრულებელი" პასუხისმგებელია მასალის ხარისხზე.
2.5. „შემსრულებელი" ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად, მოქმედი ნორმების დაცვით და გონივრულ ვადაში.
2.6. „შემსრულებელი" უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2.7. შესრულებულ სამუშაოში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „დამკვეთს" უფლება აქვს არ მიიღოს შესრულება და მოსთხოვოს „შემსრულებელს" მისი გამოსწორება.
2.8. „დამკვეთს" უფლება აქვს არ აანაზღაუროს ნაკლის აღმოფხვრის დროს გაწეული დამატებითი ხარჯები.
2.9. შესრულებული სამუშაოს მოწონების შემთხვევაში, „დამკვეთი" ვალდებულია მიიღოს შესრულება.
2.10. სამუშაოს შესრულების მიღება ხორციელდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
2.11. სამუშოს მიღების შემთხვევაში, „დამკვეთი" ვალდებულია აანაზღაუროს მომსახურების ხარჯები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „დამკვეთის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს ტიპისა და მოცულობის შესაბამისად.
3.2. მომსახურების ტიპის მიხედვით ფასი განისაზღვრება დანართ 1–ში მოცემული ფასების შესაბამისად.
3.3. გაწეული მომსახურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათასი) ლარს.
3.4. ანაზღაურება ხორციელდება მომსახურების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისთანავე.
4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 1 იანვრამდე.

5. ფორს მაჟორი

5.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა, არის ფორრს–მაჟორული გარემოების შედეგი.
5.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხელშეკრულების მოქმედება განახლდება ფორს–მაჟორული გარემეობების დასრულების დღიდან.

6. დასკვნითი დებულებები

დანართი 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

| „დამკვეთი“ | „შემსრულებელი“ |
| --- | --- |
| ააიპ „ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება | შ.პ.ს. „ჯეობიტი“ |
| მის: ქ.რუსთავი გ.ნიკოლაძის 16ა | მის: ქ.რუსთავი შევჩენკოს ქ. 14–24 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 216439325 | საიდენტიფიკაციო კოდი 216406486 |
| ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ რუსთავის ფილიალი | ს.ს. „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი LBRTGE22 | ბანკის კოდი LBRTGE22 |
| ა/ა GE85LB0115115445188000 | ა/ა GE20LB0113128562508000 |